ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №96

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ქ. თბილისში, 15 მარტი, 2019 წ.

ერთის მხრივ, სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის გიორგი მუმლაძის სახით (შემდგომში - „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, შპს ფორტაქს გრუპი, წარმოდგენილი დირექტორის კობა შამათავას სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მესამე პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №37 დადგენილებით დამტკიცებული „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების პერიოდულობა და საფასურების" ტექნიკური რეგლამენტისა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის №510 დადგენილებით დამტკიცებული „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„შემსყიდველმა" მოლაპარაკების საფუძველზე „მიმწოდებლისგან" მიიღო წინადადება კლასიფიკატორის (CPV) კოდით - 71631000 (მომსახურებები ტექნიკური შემოწმების სფეროში) - გათვალისწინებული დანართი N1-ით განსაზღვრული M[1] კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური ინსპექტირების მომსახურების გაწევის თაობაზე, საერთო თანხით 60 (სამოცი) ლარი დღგ-ს გათვალისწინებით (შემდგომში - „ხელშეკრულების ღირებულება").

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების საერთო პირობებში.
2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადაში და ფორმით.
4. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე, არაუგვიანეს 2019 წლის 31 მაისისა.
5. ხელშეკრულებას თან ერთვის დანართი №1 შემსყიდველის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი და მონაცემები, რაც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
6. ხელშეკრულება შედგენილია 07 გვერდზე, 3 ეგზემპლარად. ორი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ერთი მიმწოდებელს და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	შპს ფორტაქს გრუპი
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №84	მის: ქ. ქუთაისი 9 აპრილის ქ. N2ა
ტელ: (995 32) 2 25 84 84	
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში	სს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: TRESGE22	ა/ა GE06BG0000000607932100GEL
სახაზინო კოდი: 707767126	ს/კ ს/კ 206344543
ს/კ 204852089	
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი	დირექტორი
გიორგი მუმლაძე	კობა შამათავა
---	---

ხელშეკრულების საერთო პირობები

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

2.1 ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის №510 დადგენილებით დამტკიცებული „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ" ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ სტანდარტებსა და ნორმებს.

2.2 მიმწოდებლის ტერიტორია, შენობა-ნაგებობები, მოწყობილობა-დანადგარები, პროგრამული უზრუნველყოფა, პერსონალის კვალიფიკაცია, შესაბამისი დოკუმენტაცია და ტექნოლოგიური პროცესები უნდა აკმაყოფილებდეს „ტექნიკური რელამენტის – „ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების" დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის №511 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და უნდა უზრუნველყოფდეს ინსპექტირების სამუშაოებისა და პროცედურების სრულად შესრულებას.

2.3 მიმწოდებლის მიერ ინსპექტირება უნდა განხორციელდეს მისი ჩატარების ტექნოლოგიური პროცესის შესაბამისად, „ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობის და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული" ტექნიკური დიაგნოსტიკის საშუალებების გამოყენებით და ვიზუალური, ორგანოლეპტიკური კონტროლის მეთოდებით.

2.4 მიმწოდებლის მიერ ტექნიკური ინსპექტირების მომსახურების გაწევისას გამოყენებული უნდა იყოს დაკალიბრებული (მერტოლოგიურად გამართული) გამზომი საშუალებები.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ინსპექტირების გზით განახორციელებს - დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის ექსპერტი - თეიმურაზ ქარჩხაძე.

3.2 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებებისაგან.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შემსყიდველის ბალანსზე რიცხული (დანართი N1-ით გათვალისწინებული) ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური ინსპექტირება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №37 დადგენილებით დამტკიცებული „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების პერიოდულობა და საფასურების" ტექნიკური რეგლამენტით, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის №510 დადგენილებით დამტკიცებული „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ" ტექნიკური რეგლამენტითა და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების სრული დაცვით.

4.2 ტექნიკური ინსპექტირება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების მიმწოდებლის მისამართზე (ქ. ქუთაისი, 9 აპრილის ქ.. N2ა) მიყვანიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში. ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური ინსპექტირება განხორიციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან, 2019 წლის 7 აპრილის ჩათვლით.

4.3 მიმწოდებლის მიერ გაწეული ტექნიკური ინსპექტირება უნდა მოიცავდეს მინიმუმ ქვემოთ ჩამოთვლილ ელემენტებს:

ა) სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიკაცია;
ბ) სამუხრუჭო აღჭურვილობა;
გ) საჭით მართვის სისტემა;
დ) ხილვადობა;
ე) ფარები, შუქამრეკლები და ელექტრომოწყობილობა;
ვ) ღერძები, თვლები, საბურავები და დაკიდება;
ზ) შასი და მისი შემადგენლები;
თ) სხვა მოწყობილობები;
ი) უარყოფითი ზემოქმედება.

4.4 ტექნიკური ინსპექტირების პროცესში მიმწოდებლის მიერ უნდა შემოწმდებს სატრანსპორტო საშუალების კომპლექტაციის სისრულე, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ზღვრული პარამეტრების დაცულობა, კონსტრუქციაში შეტანილი ცვლილებების დასაშვებ ნორმებთან შესაბამისობა და მოძრაობის უსაფრთხოების ძირითადი ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა.

4.5 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების დასრულებისთანავე გასცეს თითოეულ ავტოსატრანსპორტო საშუალების (სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის მიერ დადგენილი ფორმით შედგენილი) ინსპექტირების ანგარიში, სადაც დაფიქსირებული უნდა იყოს ტექნიკური ინსპექტირების შედეგი და დასკვნა.

4.6 მიმწოდებელი ვალდებულია ინსპექტირების პროცესის შედეგები დააფიქსიროს ონლაინ რეჟიმში და ასახოს პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ერთიან საინფორმაციო სისტემაში.

4.7 იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური ინსპექტირებისას მიმწოდებლის მიერ დადგენილ იქნა ხარვეზი, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ხარვეზის დაფიქსირება მის მიერ გაცემულ ანგარიშში. შემსყიდველის მიერ დაფიქსირებული ხარვეზის აღმოფხვრის შემთხვევაში, შემსყიდველი მიმწოდებელს მიმართავს განეორებითი ინსპექტირების ჩასატარებლად. იმ შემთხვევაში, თუ ხარვეზი გამოსწორებულ იქნა მიმწოდებლის მიერ შესაბამისი შეტყობინებიდან (ხარვეზის მითითებით ანგარიშის შემსყიდველისათვის გადაცემის დღიდან) 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, განმეორებითი ინსპექტირება მიწმოდებლის მიერ უნდა ჩატარდეს უსასყიდლოდ და მხოლოდ იმ პოზიციაზე, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა დადგენილ კრიტერიუმებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურება გაწეულად ჩაითვლება მიმწოდებლის მიერ ტექნიკური ინსპექტირების განხორციელებისა და შესაბამისი ავტოსატრანსპორტო საშუალების ინსპექტირების ანგარიშის 4.5 პუნქტის შესაბამისად შემსყიდველისათვის გადაცემიდან, რაზეც ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. გაწეული მომსახურების მიღებას შემსყიდველის მხრიდან აწარმოებს დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის ექსპერტი - თეიმურაზ ქარჩხაძე.

6. გარანტია

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს მაღალი ხარისხის მომსახურება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს;

6.2 შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული პირობების დაუცველად გაწეული მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიერ გამოიყენოს ამ ხელშეკრუებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო (გადარიცხვა).

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტზე ორმხრივი ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ანგარიშსწორების ვალუტა

ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეროვნულ ვალუტა - ლარში.

9. ფასები

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტექნიკური ინსპექტირების მომსახურების ღირებულება ერთ ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე - საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №37 დადგენილებით დამტკიცებული „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების პერიოდულობა და საფასურების" ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად - შეადგენს 60 (სამოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით - M_1 კატეგორიისათვის.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

10.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

10.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

10.5 ამ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის ახალი ხელშეკრულებით წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც

შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე;

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში 3.2, 4.2 და 4.5 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებილების 0,15%-ის ოდენობით, რომლის დაქვითვაც მოხდება შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან;

12.2 წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული ვადის დარღვევისათვის შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0,15 % ოდენობით;

12.4 იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის 12.1 და 12.2 პუნქტებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა აღემატება ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

(ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია უზრუნველყოს მთლიანი მომსახურების ან მისი ნაწილის გაწევა;

(ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.4 წინამდებარე ხელშეკრულების 13.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული მომსახურების ღირებულება.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით

პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადავო საკითხების გადაწყვეტა

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ წინამდებარე ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ წარმოქმნილი ყველა უთანხმოება და დავა.

15.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. შეტყობინება

16.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი აგებს პასუხს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

დანართი №1

ავტოსატრანსპორტო საშუალებების მონაცემები

ცხრილში მოცემული ავტოსატრანსპორტო საშუალებების კატეგორია - M1 (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №37 დადგენილებით დამტკიცებული „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების პერიოდულობა და საფასურების" ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად)

N	ავტოსატრანსპორტო საშუალების მარკა/მოდელი	კატეგორია	სახ. სარეგისტრაციო ნომერი	რეგისტრაციის თარიღი	ტექნიკური ინსპექტირების განხორციელების ვადა
1	KIA CERATO	M1	EQS700	07.04.2011	07.04.2019

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მუმლაძე

დირექტორი
კობა შამათავა

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

15 მარტი 2019 წელი

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსა და შპს "ფორტაქს გრუპ"-ს შორის 2019 წლის 15 მარტს ბიუროს კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური ინსპექტირების მომსახურების შესყიდვის მიზნით გაფორმებულ N 96 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით - ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით შპს "ფორტაქს გრუპ"-თან, რაზეც ვაწერთ ხელს:

ხელშეკრულების ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი:

გიორგი მუმლაძე
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

ინსპექტირების და მომსახურების მიღებაზე განმახორციელებელი პირი:

თეიმურაზ ქარჩხაძე
დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის ექსპერტი

ხელშეკრულების მომზადებაზე უფლებამოსილი პირები:

ნიკოლოზ ქართველიშვილი
ეკონომიკური დეპარტამენტის
დაგეგმვის და შესყიდვების სამმართველოს
უფროსი

ანნა მამაგეიშვილი
ეკონომიკური დეპარტამენტის
დაგეგმვის და შესყიდვების სამმართველოს
მთავარი სპეციალისტი

Legal Entity of Public Law Levan Samkharauli National Forensics Bureau

Digitally signed by Legal Entity of Public Law Levan Samkharauli National Forensics Bureau
Date: 2019.03.18 14:31:05 +04'00'